

შეცვლილი ისტორია

მე ამ ამბის წაკითხვის შემდეგ გულდაწყვეტილი ვარ. არ გამიხარდა ის, რომ თურმე ჩემი ხალხი ძველად დაუსრულებლად ებრძოდა ქართველებს. დღეს ჩვენ მეგობრულად ვცხოვრობთ და ვიზიარებთ ჭირსა და ღვინს. მაგრამ როგორც ვნახე საბუთშიც და ისტორიაშიც ყველაფერი სხვანაირად ყოფილა.

მე გამიკვირდა მეფის გულისხმიერება, რომ ზრუნავს ყველა თავის მოქალაქეზე და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთის ბედ-იღბალს. გამიხარდა ისიც, რომ თურმე ადრეც შეძლებიათ მეგობრობა ჩვენს ხალხს თქვენთან. გამოიძებნა ისეთი ადამიანი ვინც დაუმეგობრდა მეფესაც და თავად ქართველებსაც. მე ვფიქრობ, ისეთ მეფესთან მეგობრობა დიდი პატივია, როგორც იყო ერეკლე მეორე. ტყვეების გატაცება გამოსასყიდის მიზნით რომ არასწორი საქციელია ამაზე არ ვაპირებ საუბარს. მხოლოდ მინდა ჩემეული ხედვა შემოგთავაზოთ ამ ისტორიის და ვთქვა როგორ იქნებოდა უკეთესი.

როდესაც გიორგი გეგელიშვილის დატყვევებას შეესწრო ისმალი (პირობითად დავარქმევ სახელს) აღტაცებული დარჩა მისი ვაჟკაცობით. ისე მარჯვედ იგერიებდა უიარაღოდ მტერს, მაგრამ მაინც სძლიეს, ბევრნი იყვნენ და ვედარსად გაექცა. ამ სცენის მომსწრე ისმაილმა კიდევ ერთხელ იამაყა, რომ მეგობრობდა ქართველებთან. სურვილი გაუჩნდა კარდაკარ ჩამოეწო და ყველასთვის მოეყოლა თუ როგორი კარგია მეგობრობა და შეეწყვიტათ გაუთავებელი მტრობა. მაგრამ იცოდა ვერაფერს გახდებოდა, არ მოუსმენდნენ, დიდი ღვარძლი ჩაედოთ ქართველების მიმართ გულში და ყოველდღიური დაპირისპირების და ომების შედეგად უფრო უღრმავდებოდათ. მაგრამ როდესმე დაფიქრდებიან და მიხვდებიან როგორ შეცდომას უშვებენო, გაიფიქრა ისმაილმა. გაყვა დატყვევებულის კვალს და დიდი მოლაპარაკების და ხარჯების შედეგად გამოიხსნა იგი. ძალიან დიდი ხარჯი გასწია, რადგან გამტაცებლებმა იცოდნენ დიდი გამოსასყიდის მოთხოვნა შეეძლოთ ამ ტყვეში. წამოიყვანა ტყვე და გრძელი გზით ატარა ისმაილმა, გზადაგზა გამოელაპარაკებოდა ხოლმე და იმდენი ქნა, დიდი სიახლოვე გაიჩინა მასთან. ვიდრე ტყვე ასე უგზო-უკვლოდ დაყავდა, რომ გაეცნო და მეტი გაეგო მასზე, მართლაც დიდი მეგობრობის ხიდი გაიღო ამ ორ ღირსეულ ადამიანს შორის. ბოლოს დადგა დრო როცა უნდა გაეშვა ტყვე. აი აქ კი მოხდა ისეთი რამ რამაც ისტორიაში არასწორი კვალი დატოვა. სამშვიდობოს გამოიყვანა და გამოსათხოვებლად გადაეხვივნენ ერთმანეთს, აღუთქვეს მეგობრობა და კიდევ შეხვედრაც დაგეგმეს, გიორგი გეგელიშვილს თავში უცნაურმა აზრმა გაუელვა. ისიც იცოდა უკვე, რომ ისმაილი დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა. მისი ცოლ-შვილი ხშირად მშვიერი იძინებდა. თუ რამე გააჩნდა ისმალს, გიორგის გამოხსნისთვის გადაიხადა და ხელცარიელი უნდა დაბრუნებოდა ოჯახს. გიორგიმ იფიქრა მეგობარსაც დავეხმარები და ჩემიანებსაც გამოვცდიო. ამიტომ ისმაილს სთხოვა გამოსასყიდი მოეთხოვა დიდძალებისგან მისი დახსნისთვის. აბა ეს როგორ იქნებაო, უპასუხა ისმაილმა, მაგრამ არ მოეშვა გეგელიშვილი. ორ საქმეს გამოვიყვანთ აქედანო. შენც მოითხოვ ხელს და შენს ოჯახს საჭმელ-სასმელს მიუტან, მეც გამოვცდი ჩემს მეგობრებსო. დიდი ხვეწნა და მუდარა დასჭირდა. არაფრით არ თანხმდებოდა ისმაილი. ამით ჩვენი

მეგობრობა ხომ დასრულდებაო. მაგრამ გეგელიშვილმა თავისი გაიტანა. ისმაილი მარტო გადავიდა ქართველებთან და დიდძალი გამოსასყიდი მოითხოვა. დიდმელებმა ბევრი აწონ-დაწონეს და უარი განაცხადეს მის გამოსხნაზე. დაბრუნდა ისმაილი და მოახსენა გეგელიშვილს ეს ამბავი. გააოცა იმან, რომ ამხელა ვაჟკაცს ცრემლი მოადგა ამ ამბის მოსმენისას. რას იზამდა. გამოემშვიდობა და წავიდა. გეგელიშვილი პირდაპირ სახლში არ წასულა, აღარ უნდოდა დიდმელებთან ცხოვრება. ისმაილს გზად მიმავალს შეხვდა ქართველი კაცი, რომელმაც გიორგის გამოსასყიდი მოუტანა და სთხოვა გამოეშვა იგი. ისმაილი გაოცდა, რადგან ტყვე უკვე გაშვებული ყავდა. კითხა ვინ იყო, ან რატომ ამღევდა გამოსასყიდს, როდესაც ტყვე უკვე გაშვებული ყავდა. მან უთხრა რომ შემთხვევით გაიგო ეს საქმე და სურდა ისეთი ვაჟკაცის გამოსხნა, როგორც გიორგი გეგელიშვილი იყო. ისმაილს ეს კაციც მოეწონა. გამოელაპარაკა და აუხსნა როგორ მოხდა ყველაფერი.

ამის შემდეგ ამ კაცთანაც და გეგელიშვილთანაც მეგობრობდა ისმაილი და ხშირად იგებდა რა ხდებოდა საქართველოში და სამეფო კარზე. ისიც გაიგო, რომ გიორგის დამორჩილება კვლავ მოუნდომებიათ დიდმელებს, გულისხმიერ მეფეს კი უყურადღებოდ არ დაუტოვია მისი ამბავი და მის დასაცავად წერილით მიუწერია ის ამბავი, რომელიც უკვე წავიკითხეთ. აი ასე იყო ყველაფერი. ასე გაგრძელდა მეგობრობა და შემდეგ მათი შვილებიც და შვილიშვილებიც მეგობრობდნენ. ბევრმა უბედურებამ გადაიარა მათ თავზე, კიდევ ბევრი ომი თუ გასაჭირი ნახეს, მაგრამ მეგობრობა მაინც არ შეუწყვეტიათ. როდესაც ყველამ ნახა როგორი იყო მათი მეგობრობა, თავადაც დაივიწყეს მტრობა და დაუმეგობრდნენ ქართველ ხალხს.

მე მინდა მივულოცო ერეკლე მეფეს იუბილე, ვუსურვო რომ გამთლიანებული და მშვიდობიანი ყოფილიყოს მისი ქვეყანა, რაც ასე ძალიან უნდოდა.

ავტორი-მაგამედ მაგამედამიროვი, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ სარუსოს საჯარო სკოლა, მე-9 კლასი, ასაკი-14 წლის.